ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
UNITED NATIONAL MOVEMENT

№ 370/01
„27" 10 2020 წ.

ქალაქ თბილისის მერიას
(თბილისი, 0160, ჟიული შარტავას ქ. N7)

ასლი: სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ს
(ქ. თბილისი, 0186, ლისის ქ. #1ა)

ასლი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
(თბილისი, გენერალ გია გულუას ქ. N10)

ასლი: საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს.
(თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 117)

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინასწარი გაფრთხილების მიზნებისათვის გაცნობებთ, რომ საარჩევნო ბლოკი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" 2020 წლის 31 ოქტომბერს, შაბათს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, აპირებს მშვიდობიან, საჯარო შეკრებას, რამაც მონაწილეთა შესაძლო მნიშვნელოვანი რაოდენობის ზრდის გამო მაღალი ალბათობით გამოიწვევს ხალხისა და ტრანსპორტის სავალი ნაწილის მოძრაობის შეფერხება-შეჩერებას.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ახალი კორონა ვისუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით, ორგანიზატორების მხრიდან მაქსიმალურად იქნება დაცული უსაფრთხოების ზომები, მათ შორის პირბადეებით უზრუნველყოფა, სადეზინფექციო ხსნარების გამოყენება.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება". „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მხედველობაში მიღებით, „ამ კანონით გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა".

საამისოდ გაცნობებთ, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს:

შეკრებისა ფორმა: ქ. თბილისში, რუსთველის N8-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობიანი და საჯარო შეკრება;

შეკრებისა და მანიფესტაციის მიზანი: საქართველოში, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების საჯარო და პარალელური დათვლა და გაერთიანებული ოპოზიციის გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმი.

ჩატარების ადგილი: ქ. თბილისში, რუსთველის N8-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია;

საქართველო, 0190, თბილისი, კახეთის გზატკეცილი №45ª, ტელ.:(+995) 2923084/85; ფაქსი:(+995) 2923091; ელ-ფოსტა: info@unm.ge; ვებ-გვერდი: www.unm.ge
45ª Kakheti Highway, Tbilisi, 0190, Georgia. Tel: (+995) 322 923084/85, Fax: (+995) 322 923091 E-mail: info@unm.ge web: www.unm.ge

თარიღი, დაწყებისა და დასრულების დრო: 2020 წლის 31 ოქომბერი 12:00 საათიდან 24:00 საათამდე;

შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა: მრავალათასიანი შეკრება;

მარწმუნებელი (ინიციატორი): არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N45ა; ს/კ 200078888; ტელ.: -995 32 292-30-84/85);

რწმუნებული (ნდობით აღჭურვილი პირი): , პირადი ; რეგისტრაციის მისამართი და საცხოვრებელი ადგილი (ძისამართი):ქ. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ფორმა: გადაუდებელი სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისათვის სასწრაფო დახმარების ჯგუფი გამოძახებული იქნება საჭიროების შემთხვევაში, სატელეფონო შეტყობინების ფორმით.

ამასთან ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

პატივისცემით,